საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციო პარტია

F 264/2 N 12964

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; კანტორა ღია ია დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

№ 115

1922 წ.


## ყოველდღიური გაზეთი
## ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.



## ხელოვნების სასახლე

სერგიევის ქუჩა № 13.
ხუთშაბათს იანვრის 5-ს

სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი

მეშვიდე ლიტერატურული ხუთშაბათი

## ობოლი მუშა

„პროლეტარული პოეზია“

დასაწყისი სადამოს 6 საათზე.
დასწრება შეუძლია ყველას, შესვლა უფასოა. 402



გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული ორგანო ჟურნალი

## „ლომისი“

გალაკტიონ ტაბიძე. ზამთარი.
დეო ქიაჩელი. მე და ჩემი ორი მე.
გალაკტიონ ტაბიძე. პოეზია უწინარეს ყოვლისა.
კოწია გამსახურდია. იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი.
ირაკლი ტოფაძე. ნიკო ფიროსმანიშვილი.
მოსე თოიძე. ქართული მხატვრობა.
ბიბლიოგრაფია. „ხომალდი“:
შარლემანი. ყდა და ღერბი.

ნომერი ღირს 12 ათასი.


## განცხადება

ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოების მომწვევი ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთავსებულია საქართველოს რევკომის სასახლეში, ოთახი № 22, ტელეფონი № 11—69. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 10-დან 2 საათამდე.

## გაფრთხილება

გასული წელი საბედისწერო აღმოჩნდა მენშევიკებისათვის. თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში დაეცა საქართველოში მენშევიკური მთავრობა. მთავრობა, რომელმაც ყოველივე ნდობა დაჰკარგა მშრომელ დემოკრატიაში და ტახტს იმაგრებდა მხოლოდ ომებით. ოპოზიციის ასალაგმავად ეორდანიას მთავრობა მუდამ მიმართავდა ნაცად ხერხს: ომის საშიშროებას, ეროვნულ საფრთხეს.

მაგრამ კოკამ მუდამ ვერ მოიტანა წყალი და გატყდა. დამარცხდა მენშევიკური პარტია და ისტორიას ჩაბარდა... მაგრამ მენშევიკები როდი სჯერდებიან ისტორიის განაჩენს: ისინი საქართველოს ებღაუჭებიან და ყვირიან: ჩვენთან ერთად გაჰქრა საქართველოს დამოუკიდებლობაო! ჩვენთან ერთად იდუპება სოციალიზმიცო და მოუწოდებენ საქართველოს გასათავისუფლებლად, რომ მან შემდეგ სოციალიზმი დაამყაროს,—ანტანტის!... ასეთი ბედი არგუნა ისტორიამ მენშევიკებს...

ჩვენ მიუდგომლად ვარჩევთ ისტორიულ მოვლენებს და ვამბობთ: ვისაც გული ეწვის, იტიროს მენშევიკების ბედი, მაგრამ არი ქართველი ხალხის თავისუფლება!

ქართველ მშრომელ ხალხს დღეს საშუალება ეძლევა ისე მოაწყოს თავისი ბედი, როგორც ეს მის საკუთარ ინტერესს შეეფერება. და ვინაც ამაში ხელს შეუშლის, მის საწინააღმდეგოდაა მიმართული დიქტატურის საშინელება. ყოველივე ამის თავდებია მუშათა და გლეხთა საბჭოები, რომელიც ეხლა უნდა აირჩიოს საქართველოს მშრომელმა დემოკრატიამ.

საბჭოები მშრომელთა ბატონობის საფუძველია. ამიტომ ფრთხილად, ამხანაგებო გლეხებო! არ აირჩიოთ საბჭოებში ისეთი პირები, რომელნიც არ არიან შრომის შვილები და არ იბრძოლებენ შრომის განთავისუფლებისათვის!

## ქურნალ-გაზეთებიდან

„მატენიდან“. „ნუ თუ ლოიდ ჯორჯის ვარსკვლავი ჰკრება“ ამ სათაურით პარიზის „ჟურნალი“ აქვეყნებს მარსილიაკის სტატიას: „საცოდავი ლოიდ ჯორჯი“. ამ დღეებში მე მას თვალყურს ვადევნებდი თემთა პალატაში იმ დროს, როცა მან დახატა საკვალაღო სურათი ინგლისის მდგომარეობისა ამ ჟამად.

უნდა გამოვტყდე, რომ მე ერთსა და იმავე დროს მისდამი ვგრძნობდი შებრალებასა და სიმპატიას. მან გამოუყურებდა ირლანდიას და კითხულობდა: ხომ ერთგვარი საშუალებებია განთავისუფლებისათვის რევოლვერი და დანაც. ინდოეთმა იგრძნო რა ძლიერება თავის კავშირებისა, გამოუცხადა ბოიკოტი ინგლისის საქონელს.

ფაბრიკებში მანჩესტერსა, ნიუკესტლსა, გლაზგოსა, შეფილდსა და ბირმინგამში მანქანების გრიალი დადუმდა და მის მაგიერ დაიწყო მშიერი ადამიანების მუდარა და ყველამ, რომელნიც ეძიებდენ სამართლიანობას ან პურს, მიჰმართა ამ კაცს, რომელიც მხოლოდ შეეპირდა, რადგან ალბად ძლიერ ბევრს მოელოდა. მე ვეკითხებოდი თავს: ნუ თუ ამ მოჩვენებამ მას თავზარი დასცა გუშინდელს სხდომაზე. გარეგნული მისი გამომეტყველება ცოტათი გამოცვლილია. მე მომეჩვენა, რომ სიმები, რომლისაგანაც ის ოდესღაც ჰკრებდა ასეთს უტყუარს ხმებს, ახლა უკვე არ ახდენდნენ ასეთს შთაბეჭდილებას და მსახიობიც ამას კარგად გრძნობდა. შეიძლება ძნელი იყო ტაშის დაკვრა მის ჩამოთვლას უსაზღვრო სიძნელეთა და განცდებისა. მაგრამ მე მგონია, რომ ყველა ამ ხალხმა, რომელნიც გუშინ იყვნენ, მისი თაყვანისმცემელნი და მომხრენი, დაჰკარგა ზოგი რამ თავის ძველი ნდობისაგან.

„ჟურნალ დ'ორიანიდან“. ცნობებით რომელნიც მიღებულია კონსტანტინეპოლში, ანგორის დიდმა ყრილობამ გადასწყვიტა გადადგას ნაბიჯები, რომ შეთანხმება, დადე ული საფრანგეთთან, გავრცელებულ იქნას სხვა სახელმწიფოებთან. დიდმა ყრილობამ გაარკვია მომავალი შეთანხმებების საფუძვლებ ლად შემდეგი პირობანი:

1. აბსოლიუტური ნეიტრალიტეტი საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტში.
2. ცნობა ხელუხლებლობისა ოსმალეთის ტერიტორიისა.
3. უარყოფა კაპიტულიაციისა.
4. განდევნა ბერძნების სამხედრო ხომალდებისა სრუტეების ზონიდან, რომელნიც გამოცხადებულია ნეიტრალურად.

„ჟურნალ დ'ორიანიდან“. ერთი ჩვენი რედაქტორი შეეკითხა კავკასიიდან ჩამოსულ პიროვნებას, მოსკოვისა და ანგორის დამოკიდებულებების შესახებ.

ის აცხადებს: „საბჭოთა პრესსა არ ერიდება აშკარად გაარკვიოს დამოკიდებულება ორ ხალხთა შორის. ჩემის აზრით, საბჭოთა პოლიტიკა ოსმალეთისადმი შეიძლება განმარტებულ იქმნას ამრიგად: პირობითი მეგობრობა. ბოლშევიკებს სჭირიათ ჭუსტაფა ქემალფაშა იმის და მიხედვით, თუ უკანასკნელი თავის ბრძოლით ბერძნებთან როგორ უწყობს ხელს ნაციონალისტური ვნებების გადვიძებას და მოსკოვისაკენ მცირე-აზიისას. ისინი იცხოვრებენ მეგობრულად, სანამ ეს მდგომარეობა გაგრძელდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლშევიკური ჯარები, რომელნიც თავმოყრილნი არიან ალექსანდრეპოლსა და აჭარაში, დაიკავებენ მთელს ოსმალეთის სომხეთს.

## ახალი ამბები

— ხუთშაბათს, 5 იანვარს, ხელოვნების სასახლეში, სერგიევის ქუჩა № 13, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მიერ გაიმართება მორიგი მეშვიდე ლიტერატურული ხუთშაბათი. მოხსენებას წაიკითხავს ობოლი მუშა „პროლეტარული პოეზია“. დასაწყისი სადამოს 6 საათზე.

— აკაკის ბინა. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ აღძრული შუამდგომლობა—დაცულ იქმნას მგოსნის აკაკის სახლი, დაკმაყოფილა შინაგან საქმეთა კომისარიატმა.

— აკაკის ანდერძი. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ განათლების კომისარიატისადმი აღძრულ შუამდგომლობის პასუხად მიიღო, რომ აკაკის მამულში მომავალ სამოსწავლო წლიდან გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

## რუსეთი

მოსკოვი. 30 დეკ. აღმოსავლეთის ხალხის ყრილობაზე ირკუტსკში ჩამოვიდა 100 დელეგატი. ჩინეთის დელეგაციამ შეიმუშავა მოწოდება თავის თანამემამულეებისადმი რუსეთის დამშეულთა დასახმარებლათ.

— გარდაიცვალა ცნობილი მწერალი ვლ. გალაქტიონის ძე კოროლენკო, რომლის შესახებ რუსეთის საბჭოთა 9 ყრილობაზედ შემდეგი სთქვა ამხ. კონმა:

„ასი წლის შემდეგაც სიკვდილი კოროლენკოსი ქთელს მხარეს შეანძრევდა როგორც სიკვდილი იმ ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე დასდო მთელი გლეხკაცობის გამოსაფხიზლებლად. კოროლენკოს გასწორ ცხოვრებამ, ის იყო რეალისტი და ყოველგვარს უსამართლოებას პასუხს აძლევდა, მაგრამ კვალ და კვალ იგი ვერ დაეწია საერთო ცხოვრებას. ჩვენთვის ძვირფასია იდეალისტი კოროლენკო. ის გაგზავნეს ციმბირში, როცა მან გზაზე უარი გინაცხადა ახალი მეფის გრთგულების ფიცზე, ის კიდევ უფრო შორს განდევნეს, ირკუტსკის ოლქში. თითეულ ეტაპზე მას ეუბნებოდენ ფიცის მიღებას და პირდებოდნენ უკანვე დაბრუნებას. მაგრამ კოროლენკო უცვლელი რჩებოდა და მრავალ წლის გაძდახვეწილობის შემდეგ, ის დაბრუნდა და დარჩა ისეთივე გრძნობიერი და თავგანწირული ადამიანი, როგორც იყო. კოროლენკო იწოდებოდა რუსეთის სინიდისად. და ასეთი დარჩა ის მოდომდე. მე მახსოვს ეპიზოდი თებერვლის დღეებისა ბოლშევიკების წინააღმდეგ, როცა მთელი ორგანი იყო ატეხილი. როცა მათ ტალახს ესროდენ ალექსინსკი და ბურცევი; როცა ამბ. რაკოვსკისზე მიჰქონდათ იერიში, მაშინ კოროლენკომ განაცხადა: „მე ვჯდები რაკოვსკისთან ერთად საბრალმდებლო სკამზე. მე ვიცნობ მას.. შორს ბინძური ხელი რაკოვსკისაგან!

დიახ, კოროლენკომ იცოდა მთელი სიმართლე. ის იყო შეურყეველი თავის რწმენაში. მე მოუწოდებ ყრილობას პატივი სცენ ფეხზე ადგომით სიმართლისათვის მებრძოლს.

მოსკოვი. 31 დეკ. მოსკოვის გაზეთები მთელი წყება სტატიებით ჯამს უკეთებენ საბჭოთა ყრილობის დასრულებას. აფასებს რა გარდაწყვეტილობას ყრილობის ახალ ეკონომიურ პოლიტიკის სფეროში ამბ. სტეკლოვი „იზვესტიაში“ სწერს:

რუსეთის მაზრის არჩეულთა ხმამ და ყველა მოკავშირე ხელშეკრულ საბჭოთა რესპუბლიკებისამ ერთხმათ აღიარა ახალი პოლიტიკის ძირითადი დებულებანი სწორად და დადგინა მისი განვითარება აღნიშნულ მიმართულებით. ამასთან ერთად მან მიიღო მთელი წყება ზომებისა საბჭოთა აპარატის შეთვისებისათვის ახალი ფუნქციის შესასრულებლად, რომელიც დაკავშირებულია ამ ახალი პოლიტიკის განსამარტებლად. ამავე დროს აღნიშნა გადასვლა მტკიცე იურიდიულ უფლება-წესიერებაზე—საბჭოთა თანამდებობა ახალ სამეურნეო აღშენებლობას და ამით მოუსპოს ჩვენს მტრებს საბაბი სამტრო აგიტაციისათვის. ყრილობამ დადგინა, დამყაროს ორგანიული კავშირი მრეწველობის აღდგენისა და საოფლო მეურნეობის აღორძინების შორის, როგორც საშუალება პროლეტარიატისა და გლეხების კავშირისა ფართო და მტკიცე სოციალური საძირკველის ჩაყრის ნიადაგზე.

## ქალთა კულტის ნაშთები საქართველოში

№ 2*)

ქართველი ერის სიტყვიერება უტყუარი ნიმუშია მისი, რომ მთვარე არ ყოფილა ქართველების მთავარი ღმერთი, არამედ მზე. როგორც წერილი, ისე ზეპირი გამოთქმით ჩვენ ვამბობთ: მზე და მთვარე და არა მთვარე და მზე. მთვარე რომ მთავარი ღმერთი ყოფილიყო, უეჭველია მას ქართულ ენაში პირველი ადგილი ეჭნებოდა დათმობილი. ვის გაუგონია, ან სად ყოფილა, რომ ხალხი თავის უზენაეს ღვთაებას, მცირე ღვთაების შემდეგ იხსენებდა და არა პირველად? ცხადია მზე იყო მთავარი ღმერთი და მით ქართულ სიტყვიერებაში მდედრობითი სქესს, ყველგან პირველი ადგილი უჭირავს. ჩვენ ვამბობთ და ვწერთ დედ-მამა, ცოლ-ქმარი, და და-ძმა, ქალ-ვაჟი, დედამთილ-მამამთილი, სიდედრ-სიმამრი.

ქართველ ხალხში არსებობს ერთგვარი ფიცი: „თქვენმა-მზემ“, „ჩემმა მზემ“, რაც ნიშნავს თქვენმა სიცოცხლემ, ჩემმა სიცოცხლემ. ეს ფიცი, ჩემი აზრით წარმართული დროის ფიცია და, თუ მთვარე მთავარი ღმერთი იყო, მაშინ ფიცში უნდა ეთქვათ: ჩემმა მთვარემ, თქვენმა მთვარემ, რაც ქართველის კაცის ყურს არასოდეს არ მოსმენია. ვინაიდან, საფიცარი უმთავრესი ღვთაება იყო ყოველ ხალხში და ქართველებისათვისაც ის უნდა ყოფილიყო და არა უმცირესი ღმერთი. წინაღმდეგ შემთხვევაში ქართველები, ისეთი მაიმახი ხალხი გამოდის სარწმუნოებაში, თუ ვიწამებთ მთვარის მთავარ ღმერთობას, რომლებსაც არავითარი წესი და რიგი არა ჰქონიათ დაცული და, ასე გასინჯეთ, არც უბრალო ზრდილობა და მორიდება თავისი მთავარი ღმერთისა. და ასეთი თავ-აშვებული ხალხის თვალში, რომელი ღვთაება იყო უფრო პატივცემული ძნელი გასარჩევია. მაგრამ რადგან ჩვენ ვერ დავთანხმებით პრ. ჯავახიშვილს მთვარის მთავარ ღმერთობაზე წარმართულ საქართველოში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მზე, როგორც მაცოცხლებელი ძალა ყოველი სულიერისა, იყო უმთავრესი ღვთაება და არა უმცირესი, ვინაიდან სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი ადამიანისათვის დედამიწაზე არაფერი არ გაჩენილა და მით უმეტეს წარმართ ქართველებისათვის და გაჩნდებოდა.

მთვარეს კი ხალხი უცქერდა, როგორც მებრძოლ ღვთაებას ბნელსა და ავ-ძალებთან, რომელსაც რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ქონდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ისეთი, როგორც მზეს.

„ორშაბათი შვიდეულში უზენაეს ღვთაების მთვარის სადიდებელ დღეთ არის განკუთვნილი“ სწერს პრ. ჯავახიშვილი. ჯერ ერთი რომ, ორშაბათი საქართველოს ყველა კუთხეებში საქმის დღეთ ითვლება. ჩვენი გლეხ-კაცობის აზრით: კაცმა, თუ ორშაბათი გაცდინა და არ იმუშაა მთელი კვირა გამცდარი და დაკარგული ეჭვება. მეორეთ ორშაბათი დღე ხალხის თვალში კვიმატ დღეთ ითვლება. ორშაბათს არც მგზავრობა ვარგა ვარგა, არც ყიდვა-გაყიდვა და არც რაიმე ახალი საქმის ხელის მოკიდება. ცხადია ორშაბათი მთვარის დღეა, როგორც მას ეძახიან კიდეც მეგრელები (თუთაშხა) და ამტკიცებს მთვარის ავ-ძალებთან, რომელზედაც ხან იმარჯვებს და ხან მარცხდება. გაძარჯვებულია იმ დროს, როცა თავისუფლად აღძრწყინდება და მიფანტ-ოფანტავს ბნელს და დამარცხებული, როცა შავ ღრუბლებში შთაინთქმება. მთვარის დამარცხება სიბნელესთან ბრძოლაში ისე ხშირია და მზის დაბნელება, ისეთი იშვიათი მოვლენაა, რომ მართლა ამის წარმოდგენაა საკმარისი, რომ მთვარე არ ყოფილიყო ცნობილი უძლიერესსა და უზენაეს ღმერთად. მთვარე ყოველ დადამების ჟამს ებრძვის სიბნელეს და ვინაიდან შვიდეულში ორშაბათი პირველი დღეა, ამ დღიდან იწყებს ის თავის იერიშის მიტანას ბნელზე და მისთვისაც უნდა ეძახოდენ მას „თვარის დღეს და არა სხვა რაიმე სადღესასწაულო მიზნით.

„წმინდა გიორგის წარმართობის დროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების მთვარის ადგილი უკავია „სწერს ჩვენი ისტორიკოსი და ასეთი დასკვნა გამოყავს მას უმთავრესად სტრაბონის გადმოცემიდან ალბანელთა სარწმუნოების შესახებ, რომელთა შორის

*) იხ. „ტრიბუნა“ № 113.

გამეფებული იყო მთავრის კულტი და რომელსაც პრ. ჯავახიშვილი თეთრ გიორგობას ადარებს.

„საკმარისია სტრაბონის აღწერილობის ერთი ნაწყვეტი, რომელიც ალბანელთა სარწმუნოებას ეხება განთქმულ თეთრ-გიორგობას შევადაროთ, რომ ეს აზრი სრულებით ცხადია და ეშმარიტი გახდეს. (sic) და რადგან ალბანეთის ერთი ნაწილი, სახელდობრ იბერიის მოსაზღვრე ადგილი, ქართველი მოდგმა იყო დასახლებული და ის მთავრის ტაძარი, რომელიც გამოჩენილი გეოგრაფის სიტყვით იბერიის საზღვარზე მდებარეობდა, შეიძლება ეს ტაძარი სწორედ კახეთში ყოფილიყო“, სწერს ჩვენი ისტორიკოსი.

თუ დავეკითხებით პატივცემულ პროფესორს, რისთვის უნდა ყოფილიყო მთავრის ტაძარი კახეთში? ასეთ პასუხს მივიღებთ: „მისთვის, რომ შეუძლებელია მთელს ალბანეთში იბერიიდან დაწყებული კასპიის ზღვამდე მთავარ ღვთაების ტაძარი ხალხს, მხოლოდ ერთი ქონდესო“.

ეი უმთავრესი არგუმენტი ჩვენი ისტორიკოსისა, რომელთაც ის ამტკიცებს მთავრის მთავარ ღმერთობას წარმართ საქართველოში.

ეხლა მივმართოთ თვით სტრაბონის აღწერილობას. სტრაბონი სწერს: „ალბანია ძველადვე დასახლებულია მრავალი ტომებით, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ერთმანეთთან. ამათ შორის არიან გელები და ლეგები. გელებთ ხდიან გელანელებს და ლეგებთ ლეკებს. ალბანეთში საუბრობენ 26 სხვა და სხვა ენაზე და თაყვანსა სცემენ მზეს, მთვარეს, იუპიტერს. მთვარის ტაძარი სდგას მახლობლად იბერიის საზღვრისა, ალბანელთა შორის, ვინც მაღეტებულად ადივსება ზენარის მადლით, ის იწყებს ტყეში ტანტალს. ამ დროს მდვდელმთავრის ბრძანებით იმას სტაცებენ ხელსა და სამდვთო ჯაჭვით შეჯაჭვენ.

წლიურ განმავლობაში იმას უხვად კვებენ. ბოლოს მთავრის დღესასწაულში სცხებენ ზეთსა და მიიყვანენ ტაძრად, რომ მსხვერპლად შესწიროს. ერთი კაცი სამდვთო ისრით აღეკვრვილი, რომელიც იხსრება, მხოლოდ ადამიანის მსხვერპლის საკლავად, ამ ისარს დასცემს მას გვერდში. როდესაც მსხვერპლი დაეცემა ზიგნიდან ამოუდებენ საქადაგო ნიშანს და ხალხს დაანახვებენ. მას უკან გვამს წაიღებენ დაწყსებულ ადგილას სადაც თითოეული გადაახტება ცოდვის გასაწმენდათ“.

კაკო მიქელაძე.

(შემდეგი იქნება)

# თეატრი ⁄ ხელოვნება

### ხახელმწიფო ოპერა.

„დემონი“ იანვრის 1 1922 წ. დილის წარმოდგენა.

დილის 1 ოპერაში „დემონში“ მთავარ პარტიას ლვინიაშვილი ასრულებდა, რომელ საც შესაძინევი ხმა აქვს დასამუშავებლად, ფართე დიაპამონიცა. მაგრამ მიუხედავათ ამ ლირსებებისა მოქ. ლვინიაშვილი ჯერ-ჯეროობით კიდევ უნდა ერიდოს სცენაზე სიმღერას, თუ უნდა მომავალის შექმნა. მის ხმას დასაყრდნობი არ აქვს, რის გამოც სიმღერის დროს ხშირი დეტონაციებია. აუცილებელია ბეჯითი მეცადინეობა. საჭიროა ყურადღება მიაქციოს დიქციას, ფრაზიროვკის განვითარებას, გრიმის შესწავლას.

კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მოქ. მაზოვეიკაიამ. მისი ხმა ერთგვარად საინიმოვნოა ყველა რეგისტრებში, აქვს უტყუარი მუსიკალობა, საუკეთესო სკოლა, ტემპერამენტი. სცენიური გადმოცემაც მოფიქრებულია. დიდ იმედებს იძლევა მომავალში.

სინოდალის პარტია მუსიკალურათ შეასრულა მოქ. მოლჩანოვმა.

კარგი გუბელია მოქ. ისეკი. ხორეოც სასიამოვნო მოსასმენი იყო პირველის გარდა, სადაც ემჩნეოდა გაუბედაობაც და ფალშიც. ვ. ბ.

---

„ჯამბაზები“ იანვრის 1. 1922 წ.

ლეონკოვალოს ოპერაში ცენტრალურ ფიგურათ ჯამბაზი კანიო არის ასახული.

თანახმად განცხადებებისა, ხსენებული პარტია ოპერის პრემიერს ლიპეკკის უნდა შეესრულებინა, მისი შეცვლა მეორე პარტიების მომღერალ მოლჩანოვით ოდნავათაც ვერ იქნა გამართლებული. როგორც მოსალოდნელი იყო, მის გადმოცემაში კანიოს სახე სრულიად დაიფარა.

კანიო-ჯამბაზი განიცდის სულიერ დრამას, ეს ლიბრეტოშიაც არის ადნიშნული (ლეონკოვალომ თავის ნაწარმოებს —მუსიკალური დრამა უწოდა) და განსაკუთრებული ყურადღებით, წითელ ხაზათ ტარდება მთელ ოპერაში.

დრამა იწყება ჯამბაზის პირველივე არიოზოდან და თავის განვითარების უმაღლეს წერტილს პირველი მოქმედების ფინალში და მეორე აქტში ეღწევს.

ვერაფერი ამის მზგავსი ვერ მოგვცა მოლჩანოვმა, რადგან ბგერი ფორსიროვკა და მანიპულიაციები ვერ შექმნიან განცდას.

განთქმული არია „იცინე ჯამბაზო“ მის შესრულებაში მეტად უსახოთ ჩატარდა; ხოლო სცენა ყავახანაში, სადაც აუცილებელია მსახიობ-ჯამბაზის და შეურაცყოფა მიყენებული, ეპვიანობისაგან გაცოფებულ ადამიანის განცდათა სრული განცალკევება, მსახიობმა ვერ შესძლო გადმოცემა და მთელი სცენა გაუფუჭა მოქ. ბოკოვას (ნედა).

მომღერალი ქალი ბოკოვა-შესამჩნევია თავის მუსიკალობით. შესრულების ინტელიგენტობით. მის ხმას, მართალია, არ აქვს სრული დიაპაზონი, მაგრამ მასში ბევრია ლირიზმი, განცდა, საუკეთესო სკოლა. მისი სცენიური შეხედულება და გადმოცემა სრულყოფს საინიმოვნო შთაბეჭდილებას.

ახალგაზდა მომღერალი ინაშვილი მუშაობს და თანდათან დასრულებულ სახეს ღებულობს. შესავალში ნამდვილი bel-canto-ა და სასურველია კი მეტი.

სილვიო—ლვინიაშვილმა ასახა იგივე ხმა და დაუსრულებელი გადმოცემა, როგორც „დემონში.

პ. ბ.

---

## საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

### სასურსათო საქმე.

ვინაიდან მთელი მაზრის მრეწველობა და წარმოება მეიდროდ დაკავშირებულია სურსათ-სანოვაგის მომარაგებასთან და ამ უკანასკნელის რაოდენობა, შეიძლება თამამად ითქვას, განსაზღვრავს მის განვითარება და აყვავებას, ქუთაისის სამაზრო რევკომმა უშუალოდ და სასურსათო კომისარიატის საშუალებით მიიღო მაქსიმუმი ლონის ძიება წარმოების და მ.ს.ში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფათ, ვინაიდან თუ ქუთაისის მაზრაში არსებული წარმოებანი განიცდიან დეფიციტს და მოითხოვენ აუარებელ ხარჯებს ეს აიხსნება ერთი მხრით ნედლი მასალის უქონლობის გამო და მეორეს მხრივ კი, მუშა-მოსამსახურეთა სურსათ-სანოვაგის სიმცირით და უქონლობით, ამით აიხსნება ის ყურადღება და ზრუნველობა ქუთაისის სამაზრო რევკომისა ამ დარგისადმი. საქმე იმაშია, რომ მენშევიკურ მთავრობის მიერ დატოვებული სუოსათ სანოვაგე რაოდენობით მცირე და უმნიშვნელო თითქმის პირველ სამ თვეში დანაწილებულ იქმნა. სასურსათო სახალხო კომისარიატიდან კი მეღებული არის ასევე უმნიშვნელო რაოდენობის სურსათ-სანოვაგე. აქ საჭირო იქმნება ციფრებით „ლაპარაკი: სიმინდი—13064 ფ., ბრინჯი—198 ფუთი, მარილი—788 ფუთი, ასანთი—37192 კოლოფი, თუთუნი—102 ფუთი, პაპიროსი—12.000 ცალი და ხავთი—3500 ფუთი და სხვა წვრილმანი საქონელი. რევკომის საკუთარი ძალებით კი დამზადებულია: სიმინდი—8411 ფუთი და 36 გირ. სიმინდის ფქვილი—310 ფუთი 38 გირ. ლობიო—76 ფუთი 26 გირ. სუხარი 77 ფუთი 30 გირ. ბზე 475 ფ. ხორცი 563 ფ. 34 გირ. პურის ფქვილი 261 ფუთი, საკლავი საქონელი 45 ფ. თივა 699 ფუთი, გამომცხვარი პური 293 ფუთი და მუხუდო 844 ფუთი, ეს იყო მაშინ, როდესაც შედარებით სურსათის კრიზისი ეგზომ არ იყო გამწვავებული. შემდეგ კი ქუთაისის რევკომის ინიციატივით მაზრა და ქალაქი ურზრუნველყოფილ იქმნა სურსათ-სანოვაგით. ზემოადნიშნულ ციფრებიდან ნათლად სჩანს, რომ ქუთაისის სამაზრო რევკომს მიტოვებულს ცენტრის მიერ და დაყრდნობილს თავის საკუთარ ძალებსა და გამჭრიახობაზე „გამოუჩენია მაქსიმუმი თვითმოქმედების და ინიციატივისა, მიღებულ იყო ზომები, მეზობელ მაზრებთან საქონლის გასაცვლელად, გარდა ამისა სასურსათო კომისარიატი მთელ მაზრაში „აწესრიგებს და კრებს, თანახმად დეკრეტისა, წისქვილების შემოსავალს, მინდს და აგრეთვე ხელმძღვანელობს ნატურით გადასახადის კომპანიას, წინასწარ ცნობების შეკრება მთელ მაზრაში თითქმის დამთავრებულია. „გრეთვე იგი ჰკრებს სათესლე სიმინდს, პურს და შაბი-ამანს, რომელიც გაზაფხულზე იქმნა გაცემული სესხის სახით უდარიბეს გლეხებზე. გაცემილია სათესლე სიმინდი 4500 ფუთი, შაბი-ამანი 1900 ფუთი 23 გირვანქა და გოგირდი 1920 ფუთი 29 გირვანქა, რომლის მაგივრად დაბრუნებულ უნდა იქმნას 2500 ფუთი სიმინდი და 3800 ფ. ყუთიანი. კოოპერაციასთან არსებობს სრული კონტაქტი, ამ უკანასკნელში არიან კომუნისტები წარმომადგენლებიც.

### ვეტერინალურ-სანიტარული საქმე.

ვეტერინალურ-სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბოწყობილია ამბულატორია, ვეტერანალური პუნქტები და მიკროსკოპიული სადგურები: ქ. ქუთაისში, რკინის გზის რაიონში, ტყიბულის, ხონის, ბაღდადის, სამტრედიის; თვით ქალაქ სამტრედიაში მოწყობილია მიკროსკოპიული სადგური და სასაკლაო, გაკეთებულია საუკეთესო ჯიშის საქონლის და ფრინველების მოშენება. 3 თვის წინათ, მთელ ქუთაისის გუბერნიაში გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელიც მოსპობას უმზადებდა მუშა საქონელს, მაგრამ დროზე და სასწრაფო მიღებულ ზომებმა იგი სრულიად აღკვეცა.—ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის თვით ქალაქ ქუთაისში დაარსებულია სამი საავადმყოფო 16 ექიმით. მაზრაში კი შემდეგი საავადმყოფოები არსებობს: ქ. ხონში, სამტრედიაში, ხრესილში, დიდ-ჯიხაიში, ბაღდადში და ვანში. ქალაქ ქუთაისში არსებობს ექვსი ამბულატორია, მაზრაში კი ორი. მაზრაში გახსნილია და მოქმედობს ამ [illegible] ოცდა [illegible] საექიმო პუნქტი, ქალაქ ქუთაისში მოქმედობს 10 ადგილი. მუშა-მოსამსახურეთათვის და უფარიბეს მცხოვრებთათვის წამლები [illegible] ეძლევა უკანასკნელი თავის შემოსავალით ინახავენ თვის [illegible] ქუთაისში და მაზრაში გაჩნდა ხოლერა, რომლითაც ავად გახდა 68 კაცი, ამ რიცხვიდან გარდაიცვალა ძხოლოდ 17. ვინაიდან ქუთაისის სამაზრო რევკომს არ ჰქონდა შესაფარი თანხა ეპიდემიასთან საბრძოლველად, იგი იძულებული იყო მიემართა ადგილობრივ ვაჭრებისათვის სესხის სახით, ერთი მილიარდი მანეთის მიცემის მიზნით რომლიდანაც აღებული იყო მხოლოდ ეს ოცდა თორმეტი მილიონი მანეთი და შემდეგ ჩათვლილი საგანგებო სანიტარულ გარდასახადის ანგარიშში.

---

### ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ.

გუშინდელ ნომერში ამბ. სერგო ამაღლობელის წერილში არის შემდეგი კორექტურული შეცდომა: „არჩიდი (1922 წ.)“ უნდა იყოს „არჩილი (1902 წ.)“.

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

---

**ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ** სენაკის მაზრის სამხედრო უფროსის მიერ გაცემული მოწმობა სამხედრო ბეგრისგან თავისუფლების შესახებ ალკატრიფონის ძე თოფურიას სახელზე და სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა ვლადიმერ ინეიძის სახელზე,—ორივე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2

---

ᲔᲫᲘᲗ

**ნ. Ა. ᲐᲠᲣᲗᲘᲣᲜᲘᲡᲒᲘᲡ**

განაცალა მიღება

სპეციალურად სიფილისი, სუსუნატი და მისი შედეგები; სქესობრივი დაუძლურება. ძიდება სადამოს 4—7 საათ. სოლოლაკი. ცეცხლმქრობელ რაზმის უკან. ანალიეესუთოვის ქ. № 5.

(Новобебутовская.) 1

---

ამბ. „სორაპანის“ გამოცემა.

გამოკიდა გასასყიდათ

**ᲛᲣᲨᲠᲐᲯᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ 1922 Წ.**

გადაკეთებული ძველი კალენდრიდან შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ისყიდება ტფილისში. წერა-კითხვის წიგნის მაღაზიაში, სოსიკო მერკვილაძის და სილიბისტრო თავართქილაძის მაღაზიებში.

---

# გამოჩენილი ⁄ დავიწყებული

(მწერალი მელანია ბადრიძე*)

(გაგრძელება.)

ჩვენ უკვე ვიცით მელანია ბადრიძის მელანქოლია. ვიცით, რომ იგი ემდუროდა სიცოცხლეს, უკმაყოფილო იყო თავისი ცხოვრებით. მაგრამ მასაც ჰქონია სანატრელის რამდენიმე შემოხვევა. ამ სანატრელში სჩანს მისი პოეტური ტემპერამენტიც. თავის სიცოცხლეში იგი სამ სანატრელს აღნიშნავს:

1) პოეტურს,
2) ეროვნულს,
3) ოჯახურს.

და ამ სამ სანატრელში უპირატესობას პირველს აძლევს. იგი სწერს:

— „ჩემს სიცოცხლეში ყველაზე დიდი ზეიმობა განცდილი მაშინ, როდესაც დაუვიწყარმა რუსულმა ოჯახმა მოიწონა ჩემი საყვარელი საქმე და მით დამარწმუნა, რომ ჩემი მისწრაფება არ იყო უაზრო“... ასეა. შემომქმედს ყველაზე მეტად შემოქმედება უყვარს. თავ-დავიწყებაც კი საჭიროა, რაიმე დიდის შესაქმნელად. ეს კი ეროვნულის და ოჯ.-ბურის ზევით ჰხდება. მე მგონია, რომ ამ სიტყვებით მელანია ბადრიძე მტკიცედ ამაგრებს თავის თავს ლიტერატურის ნიადაგზე.

მელანია ბადრიძე განაგრძობს:—„ასეთივე წუთები განვიცადე კიდევ ორჯერ, და როცა მათ ვიგონებ, სიამოვნებით ვიკიწყებ განვლილ სიმწარეს. გიამბობთ რიგზე: რუსის ოჯახი, რომელიც გავიცანი, ტფილისს უნდა გადმოსახლებულიყო. მეც გამოვყე ჩემს ქუთაისის მყოფელთ. დიდი ხანი არ ვყოფილვარ საქართველოს დედა ქალაქში და როცა დავბრუნდი, ვეღარ ვიცანი. ჩემს აქ არყოფნის განმავლობაში, ჩვენი აზიური ქალაქის ცვლილება ჩემთვის აუწერლად გასაოცარი იყო. რომელ ნაცნობ ქუჩებზედაც არ გავიარე, რომ ძენახა ოდესლაც ნახული პატარა სახლი, ვხვდებოდი დიდ და ლამაზ შენობას; ძველ ქოხების და სახლების მაგიერ, მშვენიერ ხუროთმოძღვრების სახლები, ევროპიულ მოწყობილობით: გალერეებზე დაჭრილან გამოწყობილი ლაქიები; ფანჯრებიდან მოსჩანან მდიდრული ფარდები და ყვავილები; ყვავილებ ქვეშ მოსჩანან მაღალი ვაზები, კედლებზე და ბერებზე მოოქრული ჭაღები, კანდელიაბრები და ლამპრები. ყოველ ქუჩიდან ისმის ფორტეპიანოს ხმა. ზოგჯერ გავჩერდებოდი, რომ ვიარეს სვეტი შუა ქუჩაზე და ვფიქრობდი: ნუ თუ ეს დიდებული შენობა ის სახლია, რომელიც მე მინახავს მინგრეულ-მონგრეული? მაგრამ თითქოს, საპასუხოდ ბივანზე გამოჩნდებოდნენ მოხუცი დედა-კაცები, იგივენი, რომელთაც ოდესღაც ვიცნობდი. მათ კი გამოჰყვებოდნენ ალბად შვილის-შვილები, ახალგაზდა ევროპიელი გოგონები, რომელთაც არავინ არ ჩასთვლიდა ამ ძველი ადთქმის დიდების შვილისშვილებად... მაგრამ მესმის,—ისინი ქართულად საუბრობენ და ეძახიან მოხუცს ხან დიდედას, ხან დედას. მაშ ქართველები ყოფილან. მაგრამ როგორი ცვლილებაა! ახალგაზრდა კეკლუცები ირჩევიან ევროპიულ ფეხაცმელით, ნაზი ხელებით და უცხო თმის შემოხვევით; ისინი ხშირად ისწორებენ თმებს, და ბივანიდან ბივანზე სალამს აძლევენ მეზობლებს ხან ქართულად ხან რუსულად და ხან კი ფრანგულადაც... ვნახე და გავიგე რა ყოველივე ეს განვაგრძობდი კითხვებს ჩემდამი: ნუ თუ ეს ხალხი ისინი არიან, ქურსებს*) რომ უსწავლნენ და ართავდნენ ძაფს, ჰკერავდნენ კომისიისათვის ტილოს ტომრებს და ჰქსოვდნენ წინდებს, ან და ვინც უფრო შეძლებული იყო, ოქროძკერდს და აბრეშუმს. ნუ თუ ეს ის ხალხი არის, რომელთ მამებიც მეღუქნეები იყვნენ, ან ჰყიდდნენ რუმბებით ღვინოს, მწვანილს ან სხვა სახოვაგეს? მაგრამ ეს გოცება, ეს კითხვები მალე უთმობდნენ ადგილს საამო განცდებს ჩემთვის დადგა ზეიმის მეორე წუთი: დაეცხალა ჩემს თვალთ წინ, როგორც ჯადოსნობა, რომ ახლა ის, რაზედაც ვოცნებობდი; მიეხდი, რომ მოვესწარ საქართველოს განათლების საუკუნეს, რომ მაშასადამე ამაოდ არ მიმეცადინია, თაც შემეძლო ჩემს ცოდხას რომ შევსწირე ძალა, რომ ეხლა არვინ გამკიცხავს, რომ ეხლა თვით ჩვენი ქალ-ვაჟები გამოდიან თეატრის სცენაზე და თამაშობენ პიესებს და როგორს?—ქართულს!... არ მჯეროდა რომ ტფილისში ვიყავ, ან უკეთ რომ ვსთქვა, რომ ტფილისში, ჩემს თანამემამულეთა შორის ასეთი განათლება იყო. როდესაც ამაში დავრწმუნდი, კვლავ გავცოცხლდი რალაც დადებით, თითქოს ახალი წვიმა დამეპკურა, თითქოს გადამრეცხა ჩემს ძველებიდან მთელი ძველი აზიური ჟანგი. მაშ ამიერიდან ჩვენშიაც შეიძლება ქალმა იაროს თავისი მოწოდების გზით.

მაშ ეხლა მეც ნება მეძნება გავიხსნა ხელები და ახდილად განვაგრძო ის, რასაც აქამდე ხალხს ვუმალავდი, მადლობა დმერთს და ქვეყნ მთავრობას, მისგან მიღებულს ჩემს ძვირფას სამშობლოსადმი“-ო. ეს გრძელი ნაკვთი მიტომ ამოვწერე, რომ კარგად ახასიათებს იმ დროინდელ საზოგადოებრივ აზრის ერთ მიმართულებას, რომელსაც თავში შეეეხე სწორედ აქ არის დაბალი საუბეხური, ნივთიერი ქვეყანა, ხელშესახები სამყარო, რომლის გადადმა ვეღარას ჰხედავდნენ ბედნიერების საკუთარ თვალით ხილვის მაძიებელნი. აქ მელანია ბადრიძე გამონაკლისს კი არ შეადგენს; პირიქით, ეს ვორონეოვის ხანის ქართველ ინტელიგენციის სულისკვეთებაა. არამც თუ იგი, ქართველ საზოგადოების მეთაურნი, „ცისკრის“ გარშემო რომ შემოკრბენ, ამაზე მაღლა ვერ ასულან. გადადათვალიერეთ ეს ნომრები და დარწმუნდებით. რუსეთის ხოტბა ხშირად ლაქიურ ტონსაც იღებს. და ეს ტონი არ გეგონოთ, რომ ერთგვარი ნიდაბი იყო, არა. ამაში დარწმუნებულნი იყვნენ, რადგან შეხებით იყვნენ დარწმუნებულნი, ფიზიკურ თვალით ნახულს ასხავდნენ ხოტბას გონების თვალ მოხუჭულნი.

ეი თუნდა „მოლაყე“ აიღეთ (მიხ. თუმანიშვილი) ეურნალ „ცისკრის“ მთავარ-ეურნალისტი. ეს მეტად ფხიზელი და გონება მახვილი ინტელიგენტი, რომელმაც თავისი სამწერლო კარიერა საზოგადოებრივ მხილებას მოანდომა, თავის „სამგზავრო წერილებში“ სხვათა შორის ეი რასა სწერს:--„სად იყო ჩუენს ტფილისის ქალაქში ამისთანა მშვენიერი სახლები, როგორთაცა ეხლა ვხედავთ? სად იყო ჩვენს ქალაქში ამისთანა ჩინებული ხიდი, რომელიცა აღეშენდა მტკვრის მდინარეზე? სადცა ყოფილა ადრე კალო და სამძელი, იქ ვხედავთ სამსა და ოთხ ეტაჟიან სახლებსა; სადაცა ყოფილან ნახნავები, იქ ვხედავთ მშვენიერსა ბულვარსა, რომელზედაც ნაცვლად ახლანდელის განათლებულის კაცებისა, ურეკიათ ნახირი. სად იყო ადრე ქართული თეატრი? მგონია სახელიც არ იცოდნენ ამ უცნაურის საგნისა... ისე ზრუნავს იმ დღიდან, რა დღიდანაც იმყოფება საქართველოს რუსეთის მფარველობასა ქვეშ, უმაღლესი ჩვენი მთავრობა, რომ არასა ზოგავს ჩვენის კეთილ-მდგომარეობისათვის.. დასამტკიცებლად ამისა მოგვცა ჩვენ სამშობლო ენაზე თე ეარი; მოგვცა ჩვენ ეურნალი, გახსნა ვაჭრობა ოთხკუთხივ!! და სხ.. (იხ. „ცისკარი“ 1857 წ. წ. I) ისეთი დიდია მსგავსება, რომ გგონია მოლაყეს მელანია ბადრიძისთვის მიუბაძავს რუსეთის მთავრობის შექებაშიო. მაგრამ აქ მიმბაძველობა რასაკვირველია უადგილო. ეს იყო კორონელოვის ხანაში ქართული საზოგადოებრივი აზრი, და მელანია ბადრიძემაც აქ მხოლოდ ფორმა მისცა საზოგადოების გულში მოარულ კმაყოფილებას.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

*) ეს. „ტრიბუნა“ № 112.

*) ქურსი—განიერი სკამი, დიდ მაყალზე დადგმული, გაჩადებულ ნაკვერჩხლებით. ზედ აფენდნენ ქეჩას ან საბნებს. ღარიბ ქართულ ოჯახებშა, ამას ჰხმარობდნენ ღუმელის მაგიერ. ზამთარში მთელი ოჯახი იჯდა ამ ქურსის გარშემო და ისე ინახავდა თავს სიცივისაგან, თუმც „უგარი“ ხშირად მოსდიოდათ.